სექტორის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია 2021-2027

2019 წლის 30 აგვისტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სოფლისა და სოფლის მეურნეობის ახალი სტრატეგიის სამუშაო ვერსიის პირველი საჯარო განხილვა გაიმართა.
სტრატეგია განსაზღვრავს სამ ძირითად მიზანს, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას 2027 წლისთვის:

1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარება;
2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
3. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება.

თითოეული მიზნის გაზომვა შესაძლებელია საბაზისო და სამიზნე ინდიკატორებით, რომელიც მოცემულია სტრატეგიაში. ქვემოთ დეტალურად არის განხილული ოთხი ინდიკატორი, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის (მიზანი 1):

#	ინდიკატორი	ერთეული	2009	2018	2027*	ზრდა 2009-2018 წლებში	ზრდა 2018-2027 წლებში*
1	სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება	მლნ. ლარი	4,653	9,300	12,000	100%	29%
2	ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვება	მლნ. ლარი	--	450	770	--	71%
3	აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი	მლნ. აშშ დოლარი	316	959	1,300	203%	36%
4	შინამეურნეობების საშუალო ყოველთვიური შემოსავლები გაანგარიშებული სოფლად მცხოვრებ ერთ შინამეურნეობაზე	ლარი	447	880	1,200	97%	36%

*წყარო: საქსტატი, 2019 წ. *სტრატეგიის სამუშაო ვერსიის სამიზნე მაჩვენებლების მიხედვით. შენიშვნა: ყველა მონაცემი მოცემულია ნომინალურ ღირებულებაში*

ინდიკატორი 1. ახალი სტრატეგიის სამუშაო ვერსიის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება ნომინალურ ღირებულებაში 29%-ით გაიზრდება 2018-2027 წლების პერიოდში. თუ ამ ზრდის მაჩვენებელს შევადარებთ გასული 10 წლის პერიოდის (2009-2018) იმავე მაჩვენებელს, იგი 3-ჯერ უფრო დაბალია. ამავე დროს, ინფლაცია 2009-2018 წლებში დაფიქსირდა 35%. თუ ინფლაციის ეს მაჩვენებლი შენარჩუნდა მომდევნო 10 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანი ღირებულება რეალურ მაჩვენებლებში შეიძლება არც კი ან უმნიშვნელოდ გაიზარდოს.
ინდიკატორი 3. სტრატეგიით გამიზნულია, რომ აგრო-სასურსათო პროდუქციის ექსპორტი მომდევნო 10 წელში 36%-ით გაიზრდება. თუ შევადარებთ 203%-იან ზრდის მაჩვენებელს, რაც გასული 10 წლის განმავლობაში დაფიქსირდა (2009-2018), ეს სამიზნე მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია. ცხადია, მაღალი ზრდის მაჩვენებლების შენარჩუნება რთულია, თუმცა სამიზნე მაჩვენებელი მაინც საკმაოდ დაბალია.
ინდიკატორი 4. 2009-2018 წლების განმავლობაში, შინამეურნეობების საშუალო ყოველთვიური შემოსავლები, გაანგარიშებული სოფლად მცხოვრებ ერთ შინამეურნეობაზე, 97%-ით გაიზარდა, მაშინ როცა გამიზნულია, რომ მომდევნო 10 წელში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 36%-ით გაიზრდება (თითქმის 3-ჯერ ნაკლებად). ვინაიდან ეს ზრდა მოცემულია ნომინალურ მაჩვენებლებში, რეალურ მაჩვენებლებში სოფლად მცხოვრები ოჯახების შემოსავლები მაღალი ინფლაციის გამო შეიძლება შემცირდეს კიდეც.
უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის სამუშაო ვერსია ნაკლებად ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია, კონსოლიდაცია და მიწის ბაზრის განვითარება, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდების ჩართულობა. არადა, ორივე ეს საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სექტორის მდგრადი განვითარებისათვის.

ფასები

ადგილობრივი ფასები

2019 წლის ივნის-სექტემბერში თვიურ ჭრილში ფასების დონე საქართველოში მზარდი ტრენდით ხასიათდებოდა. 2019 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) 1.7%-ით გაიზარდა 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით.

იმავე პერიოდში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც მზარდი ტრენდი შეინიშნა. 2019 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სურსათის ფასების ინდექსი 3.3%-ით გაიზარდა, რამაც სფი 1.03 პროცენტული პუნქტით გაზარდა.





წყარო: საქსტატი, 2019 წ.

2019 წლის ივნის-სექტემბერში სფი იზრდებოდა წლიურ ჭრილშიც. 2019 წლის აგვისტოში სფი, 2018 წლის აგვისტოსთან შედარებით, 4.9%-ით გაიზარდა, 2019 წლის სექტემბერში კი წლიურმა ინფლაციამ მოცემული პერიოდის მაქსიმალურ მაჩვენებელს (6.4%) მიაღწია.

2019 წლის სექტემბერში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 2018 წლის სექტემბერთან შედარებით 11.7%-ით გაიზარდა, რამაც სფი 3.49 პროცენტული პუნქტით გაზარდა. მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სურსათის შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:



თევზეული (16.3%↗)

რძე, ყველი და კვერცხი (14.6%↗)

შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (13.2↗)

ხორცი და ხორცის პროდუქტები (12.6%↗)

პური და პურპროდუქტები (10.8%↗)

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

2011 წლის აგვისტოს შემდეგ, სურსათის ფასების წლიურმა ინფლაციამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია: 2019 წლის სექტემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები მკვეთრად, 11.7%-ით გაიზარდა 2018 წლის სექტემბერთან შედარებით. იმავე პერიოდში, ქართული ლარი ამერიკული დოლარის მიმართ 14%-ით გაუფასურდა. მეტიც, სექტემბრის თვის საშუალო გაცვლითმა კურსმა ლარსა და ამერიკულ დოლარს შორის უმაღლეს მაჩვენებელს (2.97) მიაღწია (სებ, 2019 წ.). ლარის გაუფასურება უარყოფითად აისახა იმპორტირებული პროდუქტების, მათ შორის იმპორტირებული სურსათის პროდუქტების ფასებზე. საქართველო არის სურსათის ჯგუფში შემავალი შემდეგი პროდუქტების წმინდა იმპორტიორი:

თევზეული – 2019 წლის სექტემბერში, წინა წელთან შედარებით, თევზეულის ფასი 16.3%-ით გაიზარდა. საქსტატის მონაცემებით, ეს ცვლილება გამოწვეული იყო გაყინული (17%) და შებოლილი თევზის (17%) ფასების ზრდით.

შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული – ამ ჯგუფში მკვეთრად, 33%-ით გაიზარდა შაქრის ფასი. ლარის გაუფასურების გარდა ეს ცვლილება განპირობებული იყო საერთაშორისო ბაზრებზე შაქრის გამვირებით: 2019 წლის სექტემბერში შაქრის ფასები 4.1%-ით გაიზარდა (FAO, 2019 წ.).

პური და პურპოდუქტები – ამ კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასები 2018 წლის ნოემბრის შემდეგ წლიურ ჭრილში იზრდებოდა. 2019 წლის სექტემბერში ხორბლის პურის ფასი 11.4%-ით გაიზარდა, რაც ხორბლის ფქვილის ფასების ზრდამ (14.8%) განაპირობა.

რძე, ყველი და კვერცხი – ამ ჯგუფში შემავალი პროდუქტების ფასების ზრდას გაცვლითი კურსი მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის. ყველაზე მეტად გაიზარდა იმერული ყველის ფასი (26%), რაც ნედლი რძის ფასების ზრდამ განაპირობა (9%). ლარის გაუფასურებამ გააძვირა რძის ფხვნილის (რაც ნედლი რძის შემცვლელად გამოიყენება) იმპორტი, რამაც, თავის მხრივ, რძის პროდუქტებისა და ყველის ფასის ზრდა გამოიწვია.

წყარო: საქსტატი, 2019 წ.

საერთაშორისო ფასები

2019 წლის სექტემბერში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით არ შეცვლილა. თვიურ ჭრილში ფასები შემცირდა შაქარზე (-3.9%), ხოლო გაიზარდა მცენარეულ ზეთზე (1.4%). აღსანიშნავია, რომ ხორცის (0.8%), რძის პროდუქტების (-0.6%) და მარცვლეულის (-0.1%) ფასები თითქმის არ შეცვლილა.

წინა წელთან შედარებით, 2019 წლის სექტემბერში FAO-ის სურსათის ფასების ინდექსი 3.3%-ით გაიზარდა. ფასები გაიზარდა ხორცზე (10.8%), შაქარზე (4.1%), რძის პროდუქტებსა (1.3%) და მცენარეულ ზეთზე (0.6%), მარცვლეულის ფასების ინდექსი კი 3.9%-ით შემცირდა.



წყარო: FAO, 2019 წ.

საერთაშორისო ვაჭრობა

წლის ჭრილში იანვარ-სექტემბრის პერიოდში საქართველოს მთლიანი ექსპორტი 7%-ით (2,448 მლნ. აშშ დოლარიდან 2018-ში 2,617 მლნ. აშშ დოლარამდე 2019-ში) გაიზარდა. ექსპორტის ზრდის ფონზე, აგრო-ექსპორტი და აგრო-იმპორტი, ისევე, როგორც მთლიანი იმპორტი, შემცირდა. ეს უკანასკნელი 6%-ით შემცირდა. რაც შეეხება აგრო-ექსპორტს, ის 13%-ით, აგრო-იმპორტი კი 12%-ით შემცირდა.





წყარო: საქსტატი და ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2019 წ.
შენიშვნა: აგრო-ექსპორტსა და აგრო-იმპორტში შედის საკვები პროდუქტების ექსპორტი და იმპორტი

წამყვანი საექსპორტო და საიმპორტო აგრო-პროდუქტები

ღვინო, ტრადიციულად, 1-ელ ადგილს იკავებს საქართველოს წამყვან საექსპორტო პროდუქტებში. 2019 წლის იანვარ-სექტემბერში მისი წილი მთლიან აგრო-ექსპორტში 22%-ს შეადგენს. მინერალური და დაგაზიანებული წყლები და ალკოჰოლური სასმელები კი, შესაბამისად, მე-2 და მე-3 ადგილზე არიან 14%-იანი და 11%-იანი წილებით. 1-ელ ათეულში ასევე შედის სიგარეტები (6%), თხილი (5%) და სხვა პროდუქტები. აღსანიშნავია, რომ 2013-2016 წწ. განსაკუთრებულად წარმატებული იყო თხილისთვის, როცა მისი ექსპორტის საშუალო წლიური მაჩვენებელი 176 მლნ. აშშ დოლარი იყო, მაშინ როდესაც 2017 და 2018 წლებში ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 76 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. წელს კი თხილის ექსპორტმა იანვარ-სექტემბრის პერიოდისთვის მხოლოდ 32 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წლევანდელი ექსპორტის მაჩვენებელი, შესაძლოა, კიდევ უფრო დაბალი იყოს, ვიდრე წინა წლებში. წამყვანი 10 პროდუქტის წილი მთლიან აგრო-ექსპორტში ჯამურად 70%-ს შეადგენს.



რაც შეეხება წამყვან საიმპორტო აგრო-პროდუქტებს, ხორბალი, ტრადიციულად, 1-ელ ადგილზეა და მისი იმპორტი მთლიანი აგრო-იმპორტის 8%-ს შეადგენს. ხორბალს მოჰყვება სიგარეტი (6%) და ქათმის ხორცი (4%). თითოეული წამყვანი საიმპორტო აგრო-პროდუქტის წილი მთლიან აგრო-იმპორტში 2%-დან 8%-მდე მერყეობს. ათივე პროდუქტი ჯამში აგრო-ექსპორტის 38%-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის პირველი ათი საიმპორტო პროდუქტის წილი მთლიან აგრო-სასურსათო იმპორტში (იანვარ-სექტემბერი, 2019 წ.



წყარო: საქსტატი და ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2019
შენიშვნა: აგრო-ექსპორტში შედის საკვები პროდუქტების ექსპორტი და იმპორტი

პოლიტიკის მიმოხილვა

შესაძლოა, საქართველოში მიწის სისტემური რეგისტრაცია დაიწყოს

2019 წლის 30 სექტემბერს, მთავრობის სხდომაზე, ახალმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ ისაუბრა საქართველოში მიწის სისტემური რეგისტრაციის აუცილებლობაზე. ბატონი გახარიას თქმით, არასრულყოფილი მიწის რეგისტრაციის გამო, მიწის დიდი ნაწილი გამოუყენებელია, რაც ეკონომიკისათვის დაკარგული შესაძლებლობაა. ამიტომ პრემიერ-მინისტრმა ფინანსთა მინისტრს დაავალა, მოხდეს ფინანსების მოძიება მიწის 4-წლიანი სისტემური რეგისტრაციის დასაფინანსებლად.

მეტი ინფორმაციისთვის მიყევით ბმულს: https://www.interpressnews.ge/ka/article/565983-giorgi-gaxariam-pinansta-ministrs-micis-sistemuri-registraciis-proektis-dapinanseba-daavala/

2020 წელს საქართველოში შვეიცარიული აგრარული კოლეჯი „კავკასია“ გაიხსნება

შვეიცარიული აგრარული კოლეჯი „კავკასია“, რომელიც დმანისის სოფელ სარიკენთში მომავალ წელს გაიხსნება, შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისად გაკეთდება. კოლეჯის მთავარი მიმართულება იქნება მეცხოველეობა - მეხორცული და მერძეული მიმართულებები, რძის პროდუქტებისა და ყველის დამზადების ჩათვლით. კოლეჯში სწავლება 3-წლიანი იქნება, როგორც მეხორცული, ისე მერძეული მიმართულებებით. თეორიულ კურსთან ერთად, სტუდენტებს საშუალება ექნებათ, პრაქტიკული მეცადინეობებიც გაიარონ.

მეტი ინფორმაციისთვის მიყევით ბმულს: https://www.interpressnews.ge/ka/article/565490-dmanisshi-agraruli-koleji-gaixsneba/

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
ირაკლი (რატი) კოჭლამაზაშვილი i.kochlamazashvili@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge